

9 აპრილის ტრაგედიიდან 29 წელი შესრულდა



1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 29 წელი შესრულდა. მაშინ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე 9 აპრილის მემორიალთან მოქალაქეები ღამიდან იკრიბებიან და 29 წლის წინ მომხდარი ტრაგედიისას დალუპურებს იხსენებენ. მემორიალი გვირგვინით შეამკეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვიდმა, პრემიერ–მინისტრმა გიორგი კვიციანიშვიდმა, თბილისის მერმა კახა კარაძემ, პარლამენტის წევრებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

“დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვიხსენებთ იმ საშინელ ღამეს როცა ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში აჩეხეს ჩვენი ქალები და ბავშვები. როცა საუბარია იმის თაობაზე, რომ ცივი ომი დასრულდა მშვიდად, მინდა ყველას გავახსენო, რომ აქ, საქართველოში, როცა მიმდინარეობდა ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, მათ შორის ამ ქალების და ბავშვების და ეროვნული მოძრაობით, ეს ომი აქ არ იყო ცივი. ამ ომს მაშინ ეწირებოდნენ ჩვენი მოქალაქეები. მაღლობა მათ, რომ თავისუფალი ვართ“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვიდმა.

პრემიერ–მინისტრის თქმით, დღევანდელი დღე ყოველთვის დარჩება სამშობლოს სიყვარულის, თავისუფლების ბრძოლის, თავგანწირვის სიმბოლოდ.

“განსაკუთრებულია ის კონსოლიდაცია, რომელიც მოჰყვა 9 აპრილს, რომლის მსგავსიც არ მახსენდება. სწორედ ასეთი კონსოლიდაციით ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უნდა ავაშენოთ ძლიერი საქართველო, გავამთრიანოთ ჩვენი ქვეყანა და დავრჩეთ ერთგური იმ იდეალების, რომლისთვისაც 9 აპრილის ღამეს ადამიანებმა თავი გასწირეს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



1989 წლის 4 აპრილს მოეწყო ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია, ხოლო მთავრობის სახლის წინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიდერებმა და აქციის სხვა მონაწილეებმა შიმშილობა დაიწყეს. 7 აპრილს თბილისში შევიდნენ საგანგებო დანიშნულების მოტომსროდელთა დივიზიის მე-4 პოლკი და საგანგებო დანიშნულების მიღიციის რაზმები.

9 აპრილს, 11 საათზე გამოცხადდა კომენდანტის საათი თბილისში, მაგრამ ცნობა მოსახლეობას ტერფვიზიით კომენდანტის საათის ამოქმედების შესახებ მხოლოდ 22 საათსა და 15 წუთზე მიეწოდა. აქციის დარბევა დღის 4 საათზე დაიწყო, რომლის დროს ქიმიური საშუალებები, სასანგრე ბარები, ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები გამოიყენეს. შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, ხოლო ათასობით მოქარაქე მოინამდა.